ოქმი N 21

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

28 ნოემბერი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. ნინო ბოკუჩავა
4. გივი ლატარია
5. გიორგი გვასალია
6. ია ჯიშკარიანი
7. გოჩა ქაჯაია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 20 ოქტომბრის N19/51232933-51 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. პეტიციის წარმომდგენი სუბიექტის მ. იოსავას 2023 წლის 13 ნოემბრის N19/51233173-51 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების პრობლემის შესახებ“ საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის თაობაზე“);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 27 ნოემბრის N50-502333115 წერილის განხილვა:
   - „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონებების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტის თაობაზე;
   - ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

4. ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ლ. ქავთარაძის 2023 წლის 27 ნოემბრის N51-512233315 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, კომისიის მიერ არსებითად განსახილველი, მეოთხე საკითხი განხილულ იქნეს პირველ საკითად, კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას

1. ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ლ. ქავთარაძის 2023 წლის 27 ნოემბრის N51-512233315 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა განაცხადა, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომა გაიმართა 2023 წლის 10 ნოემბერს, სადაც განხილულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის პროექტიც მომზადდა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის" მხარდაჭერით. გენდერული საბჭოს მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გაწერილია კანონით გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერულ ჭრილში, გეგმით დადგენილ პერიოდში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დადგინდეს: წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი